ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 13 დეკემბრის სხდომის

ოქმი #8

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 13 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 29 წევრი, სხდომას ესწრებოდა 20 წევრი. სხდომას ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე, გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია და ქიმიის დეპარტამენტის ლაბორანტი მანანა მატუშევსკაია. სხდომას ასევე ესწრებოდნენ ფიზიკის დეპარტამენტის მოწვეული სტუდენტები (დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით).

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
2. საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ;
3. პოსტდოქტორანტურაში მიღების გამოცხადების, წარმოსადგენი საბუთების, ვადებისა და კომისიის შესახებ;
4. ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;
5. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ ბიუჯეტის პროექტი გასაცნობად (იხ. დანართი 1). ბატონმა რამაზმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს განმარტება მისცა ბიუჯეტთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე. როგორც მან აღნიშნა, ბიუჯეტი, წინა წელთან შედარებით, შეცვლილი არ არის. გარდა ამისა, წინა წლის ბიუჯეტიდან 2023 წელში გადავა საოფისე ავეჯის შესყიდვის თანხები, რადგან ზოგიერთი დეპარტამენტისთვის ავეჯის შესყიდვა 2022 წელს ვერ მოხერხდა.
კვლავ წამოიჭრა ლაბორანტებისთვის ხელფასის გაზრდის საკითხი, რაზეც ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ არსებული ბიუჯეტის ფარგლებში ეს ვერ მოხერხდება.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ.ხაჩიძემ, ნ.შათაშვილმა, ი.ხუციშვილმა, ო.ფურთუხიამ, ლაბორანტმა მ.მატუშევსკაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ. საკითხი წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-11 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება დაგეგმილია 2023 წლის 1 -8 თებერვალს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ო.ფურთუხიამ, რ.ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ კონფერენციის დასკვნით სესიაზე სააქტო დარბაზის ფოიეში წარმოდგენილი იქნება სწავლების სხვადასხვა საფეხურის წარმატებული სტუდენტების მოხსენებათა / ნაშრომთა პოსტერები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-11 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ვადების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-11 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდეს 2023 წლის 1 -8 თებერვალს.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – პოსტდოქტორანტურაში მიღების გამოცხადების, წარმოსადგენი საბუთების, ვადებისა და კომისიის შესახებ. საკითხი გამოიტანა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან აღნიშნა, რომ წელს მეორედ ცხადდება კონკურსი პოსტდოქტორანტად მუშაობის მსურველთათვის და საბჭოს წევრებს გააცნო იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელიც მსურველმა უნდა წარმოადგინოს. ამასთან ბატონმა ვაჟამ აღნიშნა, რომ საბუთების მიღება დაგეგმილია 2022 წლის 20 დან 25 დეკემბრის ჩათვლით. კანდიდატების შერჩევის მიზნით ბატონმა ვაჟამ საბჭოს წევრებს წარუდგინა კომისია შემდეგი შემადგენლობით: პროფესორი გია სირბილაძე, პროფესორი დავით კერესელიძე, პროფესორი რამაზ გახოკიძე, პროფესორი ალექსანდრე შენგელაია, პროფესორი დიანა ძიძიგური, ასოცირებული პროფესორი ილია თავხელიძე, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია და ასისტენტ პროფესორი ლევან შოშიაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი პოსტდოქტორანტურაში მიღების გამოცხადების, წარმოსადგენი საბუთების, ვადებისა და კომისიის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: გამოცხადდეს მიღება პოსტდოქტორანტურაში. საბუთების მიღება მოხდეს 2022 წლის 20 დან 25 დეკემბრის ჩათვლით.

პოსტდოქტორანტად მუშაობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) გამოქვეყნებული შრომების სია;

ე) უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს, აკადემიური განათლების რომელიმე საფეხური დასრულებული აქვს და შესაბამისი აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვს უცხოენოვანი პროგრამის გავლის საფუძველზე);

ვ) პოსტდოქტორანტის სავარაუდო მეცნიერ-კონსულტანტის (უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი) თანხმობა კონსულტირება გაუწიოს პოსტდოქტორანტად დასაქმებულ პირს მისი საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში;

ზ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც მოსალოდნელი შედეგების მხრივ აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს პოსტდოქტორანტობის მსურველის ავტორობით /თანაავტორობით უნივერსიტეტის სახელით პრესტიჟულ, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო-კვლევითი სტატიის გამოქვეყნებას (დასაბეჭდად მიღებას), ისეთ ჟურნალში რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან Web of Science ბაზებში და რომლის შესაბამისად CiteScore მეტია ან ტოლია1-ის, ხოლო Impact factor მეტია ან ტოლია 0,5-ის;

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

ი) სამეცნიერო დარგის/მიმართულების ორი წამყვანი სპეციალისტის მხარდაჭერის წერილი.

კანდიდატების შერჩევის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- პროფ. გია სირბილაძე,
- პროფ. დავით კერესელიძე,
- პროფ. რამაზ გახოკიძე,
- პროფ. ალექსანდრე შენგელაია,
- პროფ. დიანა ძიძიგური,
- ასოც.პროფ. ილია თავხელიძე,
- ასოც.პროფ. გურამ ქუთელია,
- ასისტ.პროფ. ლევან შოშიაშვილი.

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა სიტყვა გადასცა პროფესორ ნანა შათაშვილს. მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შეახსენა საკითხი ფიზიკის დეპარტამენტის ზოგიერთი სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლიც საბჭოს წინა სხდომაზე დაისვა, მაგრამ სტუდენტების არყოფნის გამო გადაიდო მომდევნო სხდომისთვის. საქმე ეხებოდა ქ-ნ ნანა შათაშვილის უფლებების უხეშ დარღვევას მის მიერ წაკითხული კურსის "ველის თეორია" ციფრული ფორმით ჩაწერის, youtube-ზე განთავსება/გავრცელებისა და გამოყენების შესახებ მისი თანხმობის გარეშე, ისევე, როგორც სასწავლოდ ამ მასალის გმოყენებას ლექტორის ნებართვის გარეშე. ქალბატონმა ნანამ აღნიშნა, რომ არ აპირებდა ამ საკითხის საბჭომდე მოტანას, თუ მონაწილე სტუდენტები აიღებდნენ ჩადენილზე პასუხისმგებლობას, აღიარებდნენ დანაშაულს, დაასახელებდნენ მასალის გამავრცელებელს და, ასევე, ხელმისაწვდომს გახდიდნენ

აღნიშნულ ციფრულ მასალას ლექტორისათვის. თუმცა, ამის სანაცვლად მათ სასწრაფოდ ავტორიზებული გახადეს ინტერნეტში უნებართვოდ განთავსებულ მასალებზე წვდომა და ხელი დააფარეს დამნაშავეს.

სხდომის თავმჯდომარემ საშუალება მისცა ამ საკითხზე საბჭოს სხდომაზე მყოფ სტუდენტებს გამოეთქვათ თავისი აზრი.

სტუდენტი ნიკა ნაცვლიშვილი: მან აღნიშნა, რომ კარანტინის პერიოდში დაიწყო ქალბატონი ნანას ლექციების ჩაწერა და ინტერნეტში განთავსება, თუმცა წვდომა შესაძლებელი იყო მხოლოდ ბმულის მეშვეობით, რაზეც ქ-მა ნანამ უპასუხა, რომ ვიდეოჩანაწერები ღია წვდომაშიც იყო, ნებისმიერ ადამიანს შეეძლო მისი ნახვა საგნის სათაურის ან ლექტორის სახელისა და გვარის მითითებით. როგორც სტუდენტმა აღნიშნა, ეს სხვა სტუდენტების დასახმარებლად გააკეთა, არ იცოდა, თუ ეს იყო დარღვევა და მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ნანას მითითებით წაშალა მასალა, მისთვის უცნობია, ვინმემ თუ გადაწერა და შემდგომ გაავრცელა იგი.

სტუდენტი ქეთი სიხარულიძე: მან აღნიშნა, რომ ავადმყოფობის გამო მოუწია ლექციის გაცდენა და მეგობარს სთხოვა ჩანაწერის ბმული მითითება გაცდენილის აღდგენის მიზნით (რადგანაც ეს მიღებული პრაქტიკა იყო და იცოდა, რომ ამ საგანში, ისევე როგორც სხვა ზოგიერთ საგანში არსებობდა ლექციის ჩანაწერები). მან აღნიშნა, რომ ეს ჩანაწერი არავისთან გაუგზავნია, მხოლოდ პირადად, სასწავლო მიზნით გამოიყენა.

სტუდენტი მარიამ ცაგურიშვილი: მარიამმა აღნიშნა, რომ ჩანაწერები მხოლოდ პირადად, სასწავლო მიზნით გამოიყენა. მან არ იცოდა გამავრცელებელის ვინაობა, თუმცა მასალებზე და შესაბამის საიტზე ჰქონდა წვდომა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.დორეულმა, რ.ხომერიკმა, თ.დავითაშვილმა, მ.ხაჩიძემ და სხვებმა. ქ-მა თინამ საბჭოს წევრებს გააცნო სან-დიეგოს უნივერსიტეტი - საქართველოს მიდგომა ანალოგიური საკითხისადმი და ის პრაქტიკა, რომელიც ლექტორს საშუალებას აძლევს მისი ინტელექტუალური საკუთრება დაიცვას და თავი დაიზღვიოს სწორედ ასეთი შემთხვევებისგან. კერძოდ, რეკომენდირებულია საგნის სილაბუსში ფრაზის ჩაწერა იმის შესახებ, რომ სასწავლო კურსის მიმდინარეობის უნებართვო ჩაწერა და/ან სასწავლო მასალების არასანქცირებული გავრცელება სტუდენტების მიერ შეიძლება დაექვემდებაროს დისციპლინურ სასჯელს. ქალბატონმა მანანა ხაჩიძემ კი აღნიშნა, რომ კურსის სრული მასალა, აკრედიტაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა სტუდენტისათვის მშობლიურ ენაზე. საკითხის ირგვლივ გაიმართა სჯა-ბაასი. საბჭოს წევრები შეჯერდნენ იმ აზრზე, რომ გაამკაცრონ წესები და მიიღონ პრევენციული ზომები ასეთი დარღვევების თავიდან ასაცილებლად. ბატონმა რ.ხომერიკმა აღნიშნა, რომ სტუდენტების ასეთი ქმედება ყოვლად დაუშვებელია, მაგრამ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიაჩნია მათ მიმართ მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოფარგვლა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე საკითხი, რომ მიეცეთ სტუდენტებს გაფრთხილება, ამასთან ამ ეტაპზე არ დაიწყოს მათ მიმართ დისციპლინური დევნა.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: მიეცეთ სიტყვიერი გაფრთხილება და არ დაიწყოს დისციპლინური დევნა ფიზიკის დეპარტამენტის შემდეგი სტუდენტების მიმართ: ნიკა ნაცვლიშვილი - მეოთხე კურსის

სტუდენტი, ქეთი სიხარულიძე - მესამე კურსის სტუდენტი, და მარიამ ცაგურიშვილი - მეოთხე კურსის სტუდენტი.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მიმდინარე საკითხები.

5.1. დოქტორანტების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება (ვ.ტრაპაიძე);
5.2. ცვლილებები საბაკალავრო პროგრამების კომპიუტერული მეცნიერება, კომპიუტერული მეცნიერება (ინგ.) ზოგიერთ სილაბუსში (თ.ჭელიძე);
5.3. დამატება აკადემიური პერსონალის სერვისების სიაში (რ.ხომერიკი);
5.4. XI კორპუსის აუდიტორიისათვის პროფესორ ლაზარე ზამბახიძის სახელის მინიჭების შესახებ.

5.1. მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საკითხი მაგისტრანტ მაკრინე ნიკოლაიშვილისა და დოქტორანტ თეა შელიას თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. მან საბჭოს წევრებს გააცნო დოქტორანტ თეა შელიას ხელმძღვანელის, აკად. დ.ლორთქიფანიძის შუამდგომლობისა და მეორე ხელმძღვანელის, რ.ფერინგის თანხმობის წერილები (იხ. დანართები 2).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხის დამტკიცება.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრანტის/დოქტორანტის თემები და ხელმძღვანელები შემდეგი სიის შესაბამისად:

- სამაგისტრო პროგრამა „ქიმიური ექსპერტიზა“
  - **მაგისტრანტი მაკრინე ნიკოლაიშვილი** - სამაგისტრო თემის სათაური: "მთავარი იონების და ზოგიერთი მძიმე მეტალის შემცველობის დადგენა საქართველოს კომერციულ წყაროს და მინერალურ წყლებში მიკროტალღური პლაზმის ატომურ-ემისიური სპექტრომეტრის გამოყენებით"; ხელმძღვანელები: აკადემიკოსი ბეჟან ჭანკვეტაძე, ასისტენტ პროფესორი ნინო თაყაიშვილი;

- სადოქტორო პროგრამა „პალეონტოლოგია-პალეოანთროპოლოგია“
  - **დოქტორანტი თეა შელია** - სადისერტრაციო ნაშრომის სათაური: „ძველი ქვის ხანის ადამიანის მიერ დმანისის კონცხის ათვისების სივრცითი, სტრატიგრაფიული და ქვის დამუშავების ტექნიოლოგიური მახასიათებლები“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე, პროფესორი რიდ ფერინგი, ჩრდილო ტეხასის უნივერსიტეტი.

5.2. მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველად გამოიტანა საკითხი კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამების ზოგიერთ სილაბუსში ცვლილებების შესახებ და სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ასოცირებულ პროფესორ თ.ჭელიძეს. ქალბატონმა თამარმა საბჭოს წევრებს გააცნო კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ მ.ხაჩიძის წერილი, რომელიც ელექტრონული დოკუმენტბრუნვით შემოვიდა. საკითხი ეხებოდა ასოცირებულ პროფესორ მ.ცინცაძეს, რომელმაც მოიპოვა ფულბრაიტის სტიპენდია და 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში 5 თვით მიემგზავრება აშშ-ში სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქ-ნი მ.ცინცაძე არის დეპარტამენტის ერთ-ერთი წამყვანი პროფესორი და სასწავლო დისციპლინები, რომელბსაც ის უძღვება ძალიან

მოთხოვნადია. მისი შემცვლელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალის მოძიება სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მეტად რთულია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 31/08/2022 # MES 7 22 0000977203 ბრძანების „2022-2023 სასწავლო წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საფუძველზე, ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ქალბატონი მანანა ითხოვს, რომ მ.ცინცაძეს მიეცეს უფლება კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტს რამდენიმე საგანი წარმართოს ჰიბრიდული წესით - ლექციას და სემინარს დისტანციურად წარუძღვება ასოცირებული პროფესორი მ.ცინცაძე, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობები, საკონტროლო, შუალედური და დასკვნითი გამოცდა ჩატარდება აქ, ადგილზე. აღსანიშნავია, რომ ქ-ნ მაგდას აქვს სასწავლო კურსების დისტანციურად წარმართვისთვის შესაბამისი კვალიფიკაცია და გავლილი აქვს სანდიეგოს უნივერსიტეტის მიერ ჩარტარებული ორი ტრენინგ-კურსი ონლაინ სწავლების პედაგოგიურ მიდგომებსა და ტექნოლოგიებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალბატონმა თამარმა ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მ.ცინცაძის სილაბუსები შესაბამისი ცვლილებებით სწავლების ფორმატში, რაც ძალაში იქნება 2023 წლის გაზაფხული სემესტრის განმავლობაში (იხ. დანართი 3).

აზრი გამოთქვა: პროფესორმა მ.ხაჩიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ცვლილებების შესახებ კომპიუტერული მეცნიერება და კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამების ზოგიერთ სილაბუსში.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები კომპიუტერული მეცნიერება, კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურ ენოვანი) საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები (იხ. დანართი 3).

5.3. მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორ ო.ფურთუხიას წარდგინებით, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს აკადემიური პერსონალის სერვისებში ჩასამატებლად წარუდგინა საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარისა და წევრის დატვირთვა. ბატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს შესთავაზა განესაზღვრათ დატვირთვის შესაბამისი საათები. მსჯელობის შედეგად შეჯერდნენ შესაბამისად, 2 და 1 საათზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სერვისების სიაში ჩაემატოს სერვისები შემდეგი დატვირთვით:

- საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარე - 2 სთ;
- საინვენტარიზაციო კომისიის წევრი - 1 სთ.

აღნიშნული ძალაში შევიდეს 2023 წლიდან.

5.4. მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა რ.ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობა XI კორპუსის 201 აუდიტორიისათვის პროფესორ ლაზარე ზამბახიძის სახელის მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ო.ფურთუხიამ და ე.ნადარაიამ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი XI კორპუსის #201 აუდიტორიისათვის პროფესორ ლაზარე ზამბახიძის სახელის მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ-ში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამდგენი კომისიის წინაშე, რომ XI კორპუსის #201 აუდიტორიას მიენიჭოს პროფესორ ლაზარე ზამბახიძის სახელი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი